პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

12 ივლისი, კვირა, 1987 წ.
№ 134 (9545) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინწინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გამართულ საფეხბურთო მატჩში თბილისის „დინამოს“ ფორვარდმა რამაზ შენგელიამ, მაშინ, როცა ანგარიში იყო 1:1, ორი ბურთი გაიტანა მინსკელთა კარში და გამარჯვება მოუტანა თავის კოლექტივს. სურათზე ასახულია მომენტი. როცა შენგელიას მეტოქის კარში გააქვს მეორე ბურთი.

იხ. მე-3 გვ.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

უნივერსიადა-87

ტანმოვარჯიშეებმა ბრძოლა დაამთავრეს

ზაბრები. საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშე ვაჟთა ნაკრებს არც ქალთა გუნდი ჩამორჩა. სტუდენტთა მსოფლიო თამაშებში მან ოქროს გუნდური მედალი მოიპოვა (118,55) ქულა) და თითქმის 4 ქულით გაუსწრო რუმინეთის კოლექტივს (114,65), რომელსაც ჩვენი ტანმოვარჯიშეების მთავარ მეტოქედ მიიჩნევდნენ.

პირად ჩათვლაში აბსოლუტური ჩემპიონის სახელი ელენე შუშუნოვამ მოიპოვა — 39,90 ქულა. მან მხოლოდ ხტომებში მიიღო შეფასება 9,9 ქულა, დანარჩენ სამ იარაღზე კი უმაღლესი შეფასება (10 ქულა) დაიმსახურა. მომდევნო ადგილებიც საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს ვ. კოლესნიკოვას (39,45), ა. შენნიკოვას (39,10) და ეკა ზეთურიძეს (38,95) ხვდათ. რუმინეთის გუნდის ლიდერს, ოლიმპიურ ჩემპიონს კ. საბოს მეხუთე შედეგი პქონდა (38,90).

პირველი ჯილდო მიიღეს მოცურავეებმაც. სპორტული ცენტრის „მლადოსტის“ ტრიბუნებზე შეკრებილი მაყურებლები გულთბილად მიესალმნენ პენზელ ანდრეი პატრიკოვს, რომელმაც 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ყველას აჯობა — 3.56,13.

მოცურავეთა ტურნირში ყველაზე ბევრი ჯილდო ჯერჯერობით აშშ-სა და რუმინეთის სტუდენტებმა დაისაკუთრეს. მედლები აქვთ საბერძნეთისა და დიდი ბრიტანეთის გუნდებსაც.

ხმლით ფარიკაობის ფინალში გავიდნენ კიეველი ი. კუზნეცოვი და უნგრელი ზ. საბო. გამარჯვება უნგრელს დარჩა.

გრძელდება კალათბურთელთა, ფრენბურთელთა და წყალბურთელთა ჯგუფური ტურნირები. საბჭოთა სპორტსმენებმა სამივე სახეობაში მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს, კალათბურთელებმა (ქალები) სამხრეთ კორეის გუნდი დაამარცხეს — 116:52, ფრენბურთელებმა (ვაჟები) — მექსიკელები — 3:0, წყალბურთელებმა კი იაპონიის გუნდს აჯობეს — 14:7.

დღის წესრიგშია საცურაო აუზები

ახლა მთელს ქვეყანაში მიმდინარეობს ცურვის საკავშირო ღონისძიებები. პარალელურად განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა არსებული საცურაო აუზების კეთილმოწყობას და ამუშავებას — ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი სასკოლო და საწარმო კოლექტივების საცურაო აუზები უქმად დგას.

ბევრი ასეთი ობიექტი, განსაკუთრებით სასკოლო საცურაო აუზები, ჯერ კიდევ შარშან უნდა ამოქმედებულიყო, მაგრამ არც წელს გადადგმულა პრაქტიკული ნაბიჯები. მაგალითად, თბილისის 26 კომისრის რაიონში 9-დან არ მუშაობს შვიდი, დანარჩენი ორიც კეთილმოუწყობელია. უკეთესი მდგომარეობა არც სხვა რაიონებშია.

ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გამართულ თათბირზე ითქვა, რომ დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას ის დეფექტები, რაც აფერხებს აუზების გამართულ მუშაობას. დაისვა საკითხი მცირე ზომის სასკოლო და საწარმო კოლექტივების საცურაო აუზების კოოპერატორებისთვის გადაცემის შესახებ. ამ წინადადებას ახლო მომავალში ცალკე განიხილავენ.

თათბირის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ზურაბ ჩხეიძემ.

ყველგან განიხილავენ

მას შემდეგ, რაც გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა“ 23 და 25 ივნისს გამოაქვეყნა კრიტიკული წერილები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ თბილისის „ლოკომოტივის“ რეგბისტთა გუნდის მიერ ჩადენილი უღირსი საქციელის შესახებ, უამრავი წერილი მოდის რედაქციაში და რესპუბლიკის სპორტსახკომში. მკითხველები გმობენ სპორტსმენთა მოქმედებას. ადრე ვიუწყებოდით, რომ ამ საკითხზე ოპერატიულად და მკაცრად იმსჯელა საქართველოს სპორტსახკომის კოლეგიამ და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, შემდეგ პროფკავშირული ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ. მიღებული უმკაცრესი ზომების შესახებ რესპუბლიკურმა პრესამ და „სოვეტსკი სპორტმა“ უკვე გამოაქვეყნა მასალები. მაგრამ მომხდარი ფაქტის ირგვლივ მსჯელობა ამით არ დამთავრებულა. საუბარი სპორტულ კოლექტივებში აღმზრდელობითი მუშაობის სადღეისო მოთხოვნების დონეზე გარდაქმნის აუცილებლობაზე გაგრძელდა ყველგან, მათ შორის რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში. იქ გამართულ კრებებს საქართველოს სპორტსახკომის კოლეგიის, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და პროფკავშირების ნფსს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის წევრები ესწრებიან.

ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლებში გაცილებით მეტი განუკითხაობა ყოფილა, ვიდრე ზედაპირულად ჩანდა. უპასუხისმგებლობის, უკონტროლობის და საქმის თვითდინებაზე მიშვების ფაქტები სამი საფეხბურთო სკოლის მუშაობის ღრმა შესწავლითაც კარგად გამოჩნდა.

იხ. მე-3 გვ.

სპორტი — მშვიდობის დესპანი!

ერთ თოკში...

1975 წელს თბილისში საბჭოთა კოსმონავტებთან ა. ლეონოვთან და ვ. კუბასოვთან ერთად სტუმრად იყვნენ ამერიკელი ასტრონავტები: თ. სტაფორდი, ვ. ბრანდი და დ. სელეიტონი. კოსმონავტებმა სურათების სახელმწიფო გალერეაში გაიცნეს ქართველი მთამსვლელები.

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარემ ო. გიგინეიშვილმა ძვირფას სტუმრებს ფედერაციის სამკერდე ნიშნები და მწვერვალ „სოიუზ-აპოლონის“ ფოტოსურათები გადასცა. თითოეული სურათს ასეთი წარწერა ჰქონდა: „...საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის გუნდის წევრებისაგან, რომელებმაც განახორციელეს ასვლა ცენტრალურ პამირში, საღრანის ყინვარის რაიონში მდებარე 6047 მეტრი სიმაღლის მწვერვალზე და პირველდამპყრობთა უფლებით საბჭოთა და ამერიკელ კოსმონავტ-ასტრონავტების პირველი ერთობლივი გაფრენის პატივსაცემად მას „სოიუზ-აპოლონი“ დაარქვეს.

შ. მირიანაშვილი, ო. ხაზარაძე, თ. ვაშაძე, დ. დანგაძე, გ. აბაშიძე, შ. გაბისიანი, ს. ბარლიანი“.

ო. გიგინეიშვილმა სტუმრებს აუწყა, რომ მათი გვარები შეტანილია საქართველოს ალპური კლუბის საპატიო წევრთა სიაში.

ამ ცნობამ აღაფრთოვანა სტუმრები. მათ თქვეს, რომ ეს ფოტოსურათი ამიერიდან შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულ სამმართველოს დაამშვენებსო.

ეს ამბავი საკდესის ერთმა ამასწინანდელმა ინფორმაციამ გაგვახსენა.

შუა აზიის მთებში თვისი პირველი ლაშქრობიდან ამერიკელი ფრიდ მაიერი ჩვენი ქვეყნის მთამსვლელთა ფედერაციის სამკერდე ნიშნით დაბრუნდა. ეს ნიშანი სიეტლელმა გოგონამ სპორტში გამოჩენილი თავდადებისა და მამაცობისთვის საბჭოთა მეგობრებისაგან დაიმსახურა.

— ახალი ლაშქრობის წინ საბჭოთა მთამსვლელებს ტაშკენტში შევხვდით და გადავწყვიტეთ ერთი დღე შინ გაგვეტარებინა — უთქვამს ფრიდს. — დიახ, შინ! ტაშკენტი და სიეტლი ხომ დაძმობილებული ქალაქები არიან.

ზერაფშანის ქედის ცენტრალურ ნაწილში — ფანის მთებში საბჭოთა და ამერიკელმა მთამსვლელებმა სამი მწვერვალი დაიპყრეს. ახლა მათ თამამად შეუძლიათ თქვან, რომ ამ ორი ქალაქის მეგობრობაში თავიანთი წვლილი შეიტანეს.

იგივე შეუძლიათ თქვან ქართველმა მთამსვლელებმაც.

ავთანდილ გურასაშვილი.

მოსკოვი. კრილატსკის ველოტრეკზე ჩატარდა საკავშირო შეჯიბრება სპრინტში ქალთა შორის, რომელშიც თავი გამოიჩინა მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენმა, ტალინელმა ერიკა სალუმიაემ — პირველი ადგილი დამაჯერებლად მოიპოვა. მომდევნო ადგილებზე ლენინგრადელი ნინა შლომინა და ტულელი ოლგა გრიშინა გავიდნენ. სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში 3 კილომეტრზე 19 წლის ტულელმა ლიუდმილა

ფელეფაიპი — მკითხველი



კოტოვამ დაიმსახურა — 3.49,306. ვერცხლის მედალი ხარკოველ ოლგა სლიუსარევას ხვდა (3.58,821), ბრინჯაოსი — ლვოველ იულია დიომინას (3.58.860).

კიევი. სინქრონულ ცურვაში საკავშირო ჩემპიონატის მედლებისთვის ათი მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტმენები იბრძოდნენ. სოლისტთა შორის ჩემპიონის ტიტული 20 წლის მოსკოველმა ტატიანა ტიტოვამ მოიპოვა — 181,49 ქულა. გამარჯვებულის ნებისმიერი პროგრამა ორიგინალურობითა და სუფთა შესრულებით გამოირჩეოდა. ვერცხლის მედალი მოსკოველ ალფია ჟამალეტდინოვას ერგო (179,67), ბრინჯაოსი — რსფსრ-ს წარმომადგენელ ირინა ჟუკოვას (175,02).



ვინ უფრო ძლიერია, საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი თუ ქალაქების უბნებსა და სოფლებს შორის რესპუბლიკური პირველობის გამარჯვებული? ვინ დაეპატრონება პირველი სუპერთასს? ამ კითხვებზე უნდა გაეცა პასუხი შეჯიბრებას, რომელიც 10 ივლისს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე საფეხბურთო მატჩის დაწყებამდე და ტაიმებს შორის შესვენებისას გაიმართა. საქართველოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა გორის გუნდმა სძლია ახმეტელ ფალავნებს და ქართულ ჭიდაობაში სუპერთასს დაეუფლა.

სურათებზე: შეჯიბრების მომენტი; გამარჯვებული გუნდი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

ᲭᲐᲑᲣᲙᲗᲐ II ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ

საჩხერე—ძალოსნობის ცენტრი

ცხინვალში დამთავრდა ჭაბუკთა II რესპუბლიკური თამაშების ტურნირი ძალოსნობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, რუსთავის, მცხეთის, ქ. ზუგდიდის, ზუგდიდის რაიონის, თელავის, ახალციხის, ახალქალაქის, საჩხერის, წყალტუბოსა და წალკის წარმომადგენლები. სულ 1970-71 წლებში დაბადებული 86 ჭაბუკი გამოვიდა სარბიელზე.

ასპარეზობის ფავორიტებად თბილისის, საჩხერის რაიონისა და სამხრეთ ოსეთის ნორჩი ძალოსნები ითვლებოდნენ. თავდაპირველად მასპინძლები დაწინაურდნენ, მაგრამ საბოლოოდ საჩხერელებმა იმარჯვეს.

საჩხერელთა ეს წარმატება მოულოდნელი არ ყოფილა. დიახ, ბოლო წლებში სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებთან ერთად სწორედ აქაური ძალოსნები იბრძვიან გუნდური პირველობის მოსაპოვებლად. საჩხერელთა წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვით მწვრთნელებს გოგი თოდაძეს და ვაჟა კაპანაძეს. მიუხედავად იმისა, რომ ვარჯიშისთვის პირობები არა აქვთ, ისინი ენერგიულად მუშაობენ და გულმოდგინედ ეძებენ სათანადო მოსაცემების მქონე შეგირდებს. გ. თოდაძის ერთ-ერთმა აღზრდილმა გრიგოლ ჩუბინიძემ სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. სპორტის ოსტატი გახდა თბილისელი არაიკ კაზარიანიც, თბილისის გუნდს შეეძლო მეორე ადგილისათვის ებრძოლა, მაგრამ გუნდის წევრებს რატომღაც არ ეტყობოდათ მონდომება. არც რესპუბლიკის ნაკრების წევრებს გამოუჩენიათ თავი. მხოლოდ ქუთაისელმა მერაბ ხუბუცელაშვილმა მიიპყრო ყურადღება.

— ნაკრების წევრთა წარუმატებლობას არ გავუკვირვებივართ. ეს იმის ბრალია, რომ ისინი ადგილებზე ემზადებოდნენ. ცენტრალიზებული წვრთნის დროს უკეთესი შედეგები აჩვენეს, — თქვა საქართველოს სპორტსახკომის მთავარმა მწვრთნელმა რამაზ გურგენიძემ.

აღსანიშნავია ის, რომ ამ შეჯიბრებაზე ჰიათურელთა გუნდი არ ჩამოვიდა, ნუთუ ჰიათურელებმა დაივიწყეს ტრადიციები? დარწმუნებული ვართ, მათი მონაწილეობა შეჯიბრებას უფრო საინტერესოს გახდიდა.

ᲙᲕᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲙᲕᲘᲠᲐᲛᲓᲔ

„ᲡᲐᲥᲕᲔᲡᲢᲘᲐ“ — 7 ივლისი. საბჭოთა ჰოკეისტთა წარუმატებლობაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. ამჯერად თავის მოსაზრებას, თუ რა არის საჭირო მდგომარეობის გამოსასწორებლად, გვთავაზობს სპორტის დამსახურებული ოსტატი ვიტალი დავიდოვი.

„ᲢᲠᲣᲓᲝ“ — 7 ივლისი. „დნეპრის“ ჰორომები“. დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ ფეხბურთელთა გუნდის შესახებ მკითხველებს ესაუბრება გაზეთის კორესპონდენტი ვ. ვატუტინი.

„ᲞᲠᲐᲕᲓᲐ“ — 9 ივლისი. საკავშირო ჟატეგორიის მსაჯი რ. ორლოვი წერილში „და არ არის ფინიში“ აჯამებს 1987 წლის პირველი ნახევრის შედეგებს მძლეოსნობაში.

„ᲡᲝᲕᲔᲢᲡᲙᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ“ — 8 ივლისი. საბჭოთა კავშირის ფრენბურთელთა ნაკრების წევრზე, ვალერი ლოსევზე მოგვითხრობს ჟურნალისტი ა. დადიგინი წერილში „ჯერ საღამო არ დამდგარა.

10 ივლისი. „ყოველთვის ვეძებდი შთაგონებას.“ ინტერვიუ წარსულში ცნობილ ტანმოვარჯიშესთან ლარისა პეტრიკთან.

10 ივლისი. „დანიელ მორელონი და ომარ ფხაკაძე: „იპოვო გაგრძელება მოწაფეებში“. წარსულში ხელოვნებათმცოდნე ველოსიპედოსელებს ესაუბრება გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი დ. კაკაბაძე.

„საჰაერო ინციდენტის გაკვეთილები“. რუბრიკით „რეზონანსი“ გაზეთი კვლავ უბრუნდება კრასნოიარსკი-თბილისის თვითმფრინავში მომხდარ ამბავს და აქვეყნებს საკავშირო პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საბჭოს ბიუროს დადგენილებას.

11 ივლისი. ძალზე რთული იყო ამ სპორტსმენის გზა დიდ სპორტში. სწორედ ამიტომ უწოდა თავის სტატიას ჟურნალისტმა რ. კსიროვმა „ეღუარდ სტრელკოვის. მძიმე ბედნიერება“.



ჩრდილოეთის პირველობა

ვუყურებდით და გვრცხვენოდა, გვრცხვენოდა უველას. ვიღაცამ პრესლოყის ახლოს ტრიბუნაზე სანანულით ჩაილაპარაკა — წინათ ჩოხა ჰიდაობაში ცვლებოდა, ჩოხაჩამოფხრეწილ მოჭიდავეს სად ნახავდიო. იმ დღეს კი, ათიათასობით მაყურებლის თვალწინ, ჩვენივე თავმოყვარეობის შესალახად მოჭიდავეები ხელის ერთი მოძრაობით ახევდნენ ჩოხებს ერთმანეთს. ძველსა და გაცვეთილს კი არა, ახალთახალ, ლამაზად შეკერილ ჩოხებს.

დიახ, კარგი ღონისძიება ჩატარდა გუშინწინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე: საფეხბურთო მატჩის დაწყების წინ და ტაიმებს შორის შესვენებისას სუპერთასისთვის საბრძოლველად ერთმანეთის პარისპარი დადგნენ ქართულ ჭიდაობაში რესპუბლიკის ჩემპიონები გორის (საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი) და ახმეტის (ქალაქების, უბნებისა და სოფლების რესპუბლიკურ პირველობაში გამარჯვებული) გუნდების წარმომადგენლები.

ამ შვენიერ და კარგად ორგანიზებულ სანახაობას ხიბლი მოაკლდა მხოლოდ იმის გამო, რომ მოჭიდავეებს უვარგისი ჩოხები ემოსათ. მაშ ეს არის საქმე, საქართველოში ხელირიანი, გამძლე ჩოხა ვერ შეგვიკერიან? არადა, გუშინწინდელი შემთხვევა ხომ გამონაკლისი არ არის.

ერთ რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე სულ მცირე 100 ჩოხა იხევაო, — გვითხრა პროფკავშირული ნაბაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ოთარ კალაძემ.

შევეცადეთ გაგვერკვია თუ ვინ ნახელავი იყო ის უდღეური ჩოხები. ადრე თურმე ჩოხებს ადგილმრეწველობაც კერავდა და ცეკავშირიც, ბოლოს შეკვეთით მისი დამზადება რესპუბლიკის სპორტსახკომის საწარმოო კომბინატსაც დაეკალა. თუ ვისი შეკერილია ის ჩოხები, გუშინწინ ასე პირწმინდად რომ იხეოდა, ამას ალბათ დაადგენენ. თუმცა, უველა ჩოხა, მიუხედავად იმისა, ვინ უშვებდა, უოველთვის ერთნაირად უვარგისი იყო. ამბობენ, ჩხოვილიც უვარგისიაო. ვაანალიზებთ რა უველივე ამას, იძადება კითხვა: მაგრამ, ნუთუ რესპუბლიკაში შეგვიძლია ხარისხიანი ჩხოვილი ხარისხიანი ქართული საჭიდაო ჩოხის წარმოება? ქართულ ჭიდაობას პროპაგანდას ვუწევთ, რა ღონისძიებებს ალარ მივმართავთ მისი ავტორიტეტის აღსადგენად და... თურმე ჩოხის პრობლემა ვერ გადაგვიჭრია. იქნებ ინდივიდუალური შრომისა და კოოპერატივის შექმნის უფლების კანონი მოვიშველიოთ? მით უფრო, ეროვნული ტანსაცმლის წარმოების მსურველთათვის კანონი დიდ შეღავათებსაც ითვალისწინებს.



ამ სპორტ[illegible]ენს არა გუშინწინდელ შეხვედრებში, არამედ გაცილებით ადრე, სულ სხვა ასპარეზობაში „უმტყუნა“ ჩოხამ. ასეა უველა შეჯიბრებაზე. რა ჰქნან ფალავნებმა?

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲐᲦᲔᲜᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ:

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲕᲘᲝᲤᲔᲑᲝᲓᲘᲗ, ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ 1 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡ-ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲔᲕᲘᲖᲘᲗ: „ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲔᲦᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ! ᲐᲛ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲝᲠᲘᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲧᲝᲤᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ-ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲓᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲝᲕᲔᲢᲡᲙᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ“.

ᲩᲐᲔᲠᲗᲔᲗ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡ-ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ! ᲛᲝᲒᲒᲕᲔᲠᲗᲔᲗ, ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲡᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲐᲓᲒᲔᲡ. ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ, ᲨᲔᲤᲔᲒᲔᲑᲘ, ᲔᲜᲗᲣᲖᲘᲐᲡᲢᲔᲑᲘ. ᲕᲔᲚᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲡ!

რესპუბლიკის რაიონებში

ᲐᲑᲐᲨᲐ

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 70 წლისთავს მიეძღვნა მოსწავლეთა სარაიონო პირველობა ფრენბურთში გოგონათა შორის. შეჯიბრებაში, რომელიც სპარტაკიადის პროგრამით ჩატარდა, პირველი ადგილი დაიკავა სეფიეთის საშუალო სკოლის ნაკრებმა გუნდმა. მომდევნო საპრიზო ადგილებზე შესაბამისად პირველი მაისისა და სამიჭაოს საშუალო სკოლების წარმომადგენლები გავიდნენ.

აქვე ჩატარდა მოსწავლეთა სარაიონო პირველობაც.

გოგონათა შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა გაუწყონარის რვაწლიანი სკოლის ნაკრებმა გუნდმა. ჭაბუკებშიც ამავე სკოლის ფრენბურთელებმა ისახელეს თავი.

ᲘᲝᲠᲐᲛ ᲜᲘᲙᲝᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
„ᲚᲔᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲡᲐᲯ. ᲙᲝᲠᲠ.

ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐ

გაიმართა სარაიონო პირველობები სპორტის რამდენიმე სახეობაში. ტყვიის სროლსა და მძლეოსნურ კროსში ძალა მოსინჯეს მოსწავლეებმა. სროლაში ყველაზე ძლიერი გუნდი პირველმა საშუალო სკოლამ გამოიყვანა და გამარჯვებაც მას დარჩა, კროსში კი მეორე საშუალო სკოლის მძლეოსნებმა აჯობეს ყველას. რაიონის მოსწავლე გოგონები პნევმატური შაშხანის სროლაში შეჯიბრნენ ერთმანეთს. აქაც მეორე საშუალო სკოლის გუნდმა მიაღწია წარმატებას, როგორც გუნდურ, ისე პირად ჩათვლაში (ლეილა ნიკოლაძე).

კროსში მონაწილეობა მიიღეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამრეწველო საწარმოების წარმომადგენელმა ქალებმა. საერთო გამარჯვება ზედა სანაზანოს კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ გუნდმა მოიპოვა. პირად ჩათვლაშიც ამ კოლმეურნეობის წევრმა ირინა ჭუმბურიძემ გაიმარჯვა.

ᲕᲐᲜᲝ ᲙᲣᲢᲐᲚᲐᲫᲔ.
(„ᲚᲔᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲙᲝᲠᲠ.).

ᲩᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘ

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს მიეძღვნა მოსწავლეთა რაიონული პირველობა კალათბურთში. ჭაბუკთა შეჯიბრებაში 16 გუნდი მონაწილეობდა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ჩოხატაურის № 1 და ბუკისციხის საშუალო სკოლების გუნდები, გაიმარჯვეს და რაიონის ჩემპიონობა დაისაკუთრეს ჩოხატაურელებმა.

გოგონათა შეჯიბრების ფინალში, რომელშიც ბუკისციხის და ჩაისუბნის საშუალო სკოლების მოსწავლე კალათბურთელები გავიდნენ, იმარჯვეს ბუკისციხელმა კალათბურთელებმა. ისინი მეორედ გახდნენ რაიონის ჩემპიონები.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ,
კონსარის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში, „ლელოს“ კორ.

უკანასკნელი ტურების სიმძაფრე

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ქალაქ სუბოტიცაში დასასრულს მიუახლოვდა მოჭადრაკე ვაჟთა საზონათშორისო ტურნირი — ვის ერთი პარტია დარჩა სათამაშო, ვის ორი. პრეტენდენტთა 3 საგზურისთვის ბრძოლა კი უაღრესად დაიძაბა. აი, როგორ გამოიყურება ლიდერთა ჯგუფი: ნაიჯელ შორტი, ჯონათან სპილმენი (ორივე — ინგლისი) — 9,5-9,5 (13-13 შეხვედრიდან), ზოლტან რიბლი (უნგრეთი) — 9,5 (14-დან), მიხეილ ტალი — 9 (14-დან), დიულა საქსი (უნგრეთი) — 8,5 (13-დან), ამადორ როდრიგესი (კუბა), სლავოლიუბ მარიანოვიჩი (იუგოსლავია) — 7,5-7,5 (13-13-დან).

XIII ტურში პოპოვიჩმა სძლია ჰამეტს, ერსტმა — ალბურტს, მარიანოვიჩმა — ზაპატას, დაზავდნენ საქსი და ქსუ.

XIV ტურში რიბლიმ დაამარცხა პრასადი, ტალმა — მარიანოვიჩი, როდრიგესმა — ერსტი, ალბურტმა წაგო საქსთან, დაზავდნენ ქსუ-სმისლოვი და ჩერნინი-შორტი. ზაპატა-პოპოვიჩის პარტია გადაიდო.

XV ტური: პოპოვიჩი-ტალი — 0,5:0,5, მარიანოვიჩი — რიბლი — 0,5:0,5, საქსი-როდრიგესი — 1:0, სმისლოვი-ალბურტი — 1:0, სპილმენი-ქსუ — 1:0, პრასადი-ჩერნინი 0:1, ერსტი-ჰამედი — 0:1.

განსაკუთრებით ხალხმრავლობაა ლი სის ტბაზე დასვენების დღეებში. ასე იყო გუშინ, ასე იქნება დღესაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პირველობა

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მინსკი) 3:1 (0:0).

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 10 ივლისი.

თბილისი: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჰედია, ცვეიბა, კორძალიძე (ქეცბაია, 75), სვანაძე სულაქველიძე, კაკილაშვილი, გურული (ყვანია, 89), შენგელია.

მინსკი: საცუნკევიჩი, ბოროვსკი, მეტლიცკი, იანუშევსკი, სოკოლი (კისტენი, 75), ზიგმანტოვიჩი, გოცმანოვი, დერკაჩი, ალეინიკოვი (შიროკი, 80), შალიმო, კონდრატიევი.

მსაჯი ი. სავჩენკო (მოსკოვი).

გააფრთხილეს კეტაშვილი, იანუშევსკი.

თბილისის „დინამომ“ 10 ივლისს უაღრესად ძნელი, მეტად საპასუხისმგებლო მატჩი მოუგო მინსკის „დინამოს“. გამარჯვება მუდამ სასიხარულოა, დიდად გასახარი იყო ამ დღეს აღებული 2 ქულაც, ვინაიდან ეს რომ არა, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა ახლანდელი ისედაც არასახარბიელო მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდებოდა და სატურნირო ფსკერიდან თავის დაღწევა შემდგომისთვის სერიოზულად გართულდებოდა.

მაგრამ, საინტერესოა, უმაღლეს ლიგაში რომელი მატჩია ახლა იოლი? მინსკის დინამოელებს კი მოვუგეთ, მაგრამ 18 ივლისს სსრ კავშირის თასის საპასუხო მეთექვსმეტედფინალური შეხვედრა მოგველის იაროსლავლში, მერე საკავშირო ჩემპიონატის მატჩი უნდა ჩავატაროთ ლენინგრადში „ზენიტთან“, 29 ივლისს — ალმა-ათაში „ქაირათთან“. რომელია აქ რამდენადმე მაინც იოლი თამაში? „შინიკი“ სათასო მატჩში თავის მინდორზე ყველაფერს იღონებს რევანშის ასაღებად, „ზენიტი“ და „ქაირათი“ ჩვენზე უკან იმყოფებიან ჩემპიონატის ცხრილში, ისინიც, 10 ივლისს წაგებულები, ცხადია, გააკეთებენ ყველაფერს, რისი ძალაც კი შესწევთ, რომ ჩემპიონატში მეზობლად მყოფ გუნდთან მაინც აიღონ ესოდენ საჭირო ქულები.

ერთი სიტყვით, იოლი ცხოვრება თბილისის „დინამოს“ წლეულს არცა ჰქონია და, ეტყობა, არც ექნება, თითოეული ქულისთვის მას გაათკეცებული ძალით მოუწევს ბრძოლა.

მინსკის დინამოსთან ჩვენმა გუნდმა სწორედ გაათკეცებული ბრძოლის მეშვეობით შეძლო გამარჯვების მოპოვება. სწორედ ფიზიკური და მორალური ძალების მაქსიმალური გამოვლენით ავიღეთ ის ორი ქულა, თორემ თამაშის საერთო კლასში ჯერ კიდევ არა გვაქვს ისეთი ხელსახები პროგრესი, რომ ამის ხარჯზე ვიყოთ დაიმედებულნი მომავალ ბატალიებში.

გავიმარჯვეთ, მაგრამ ნაკლოვანებები თბილისელთა თამაშში, ჩვენი უპირველესი გუნდის საერთო პრობლემები, ჯერ კიდევ ცხადი და თვალნათელია ყველასათვის. ჯერ კიდევ არასაკმარისია კოლექტივიზმი, კომბინაციური ურთიერთგაგება, კვლავინდებურად დიდ ხარჯ ვუხდით ცალკეულ ფეხბურთელთა ინდივიდუალურ მანევრებს, მინდვრის ცენტრალურ ზონაში, სადაც ყველაფერი სწრაფად და დაუყოვნებლივ, ერთ შეხებაზე უნდა კეთდებოდეს, ბევრ ენერგიასა და დროს ვხარჯავთ, მეტოქის კართან ხშირად ვკარგავთ ხელსაყრელ მომენტებს, მნიშვნელოვანი ხარვეზებია თავით თამაშში და სხვა მრავალი.

ახლა იმაზეც გვიხდება ლაპარაკი, რომ სისტემად გვექცა ისეთ ნაღდ შესაძლებლობათა გამოყენება, როგორიცაა 11-მეტრიანები. ეს უკვე მესამე პენალტია, თბილისის „დინამომ“ წლეულს რომ ვერ გამოიყენა. 11-მეტრიანი ფუჭად დაკარგა ჯერ ყვანიამ, შემდეგ — ჩივაძემ, ახლა კი გურულმა. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევებში ლაპარაკი უიღბლობაზე ყოველგვარ საფუძველს მოკლებული და უსარგებლოა. არა მარტო 11-მეტრიანი!, არამედ სხვა სტანდარტულ მდგომარეობათა გამოყენებაშიც არ არიან დინამოელები გაწაფული.

შეიძლება, ვინმეს ახლა ზედმეტად მოეჩვენოს ჩვენი ეს უკმაყოფილო შენიშვნები. თბილისის „დინამომ“ ხომ უმძიმესი მატჩი მოიგო, მის თამაშში გარკვეული პროგრესიც თვალსაჩინოა, ამიტომაც ქება და წახალისება გუნდს უფრო არგებდა, ვიდრე ეს მომაბეზრებელი კრიტიკული სენტენციები... ნურავის გაუკვირდება, რომ მინსკის „დინამოსთან“ მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, გახარებულ გულზე, ისევ და ისევ კრიტიკულად ვართ განწყობილნი. ეტყობა, იმ დრომდე ვიქნებით ასე, სანამ თბილისის „დინამო“ არ დაუბრუნდება თავის ნაცად, ნაწრთობ თამაშს, სანამ არ აღიდგენს მაღალ სპორტულ ფორმას, სანამ არ მიაღწევს სტაბილური თამაშის დონეს. ამიტომ ეს, თუნდაც ინერციული შენიშვნები არ აწყენს არავის, პირველ ყოვლისა ჩვენს ფეხბურთელებს. ამით გამოვხატავთ გუნდის გულშემატკივართა იმ მისწრაფებებსაც, რომლებიც მხარს კი უჭერენ თბილისის „დინამოს“, მაგრამ მის ნაკლოვან მხარეებსაც კარგად ხედავენ, ამის თაობაზე ხშირად გვწერენ რედაქციაში, დინამოელთა ქომაგებს დიდად აწუხებს ეს სატკივარი.

ავანსი. საერთოდ, ძნელი გასაცემია. ჩვენც გვიჭირს საავანსო პროგნოზები გავაკეთოთ თბილისის „დინამოს“ უახლოეს თამაშებზე, მაგრამ კიდევ და კიდევ ღრმა რწმენას გამოვთქვამთ, რომ თბილისის დინამოელებმა უახლოეს ხანებშივე უნდა მიაგნონ თავიანთ თამაშს, იბრძოლონ ისევე უნარიანად და შემართებით, როგორც ეს მინსკის დინამოელებთან გააკეთეს, ყინული უნდა გალხვეს, ჩვენმა გუნდმა თავისი ადგილი უნდა დაიბრუნოს იქ, სადაც იმყოფებიან საბჭოთა ფეხბურთის ლიდერები. 10 ივლისის მატჩმა დაგვარწმუნა, რომ საამისო ძალები თბილისის „დინამოს“ შესწევს.

• • •

ახლა განვლილი თამაშის სტატისტიკური მხარე. ანგარიში 65-ე წუთზე გახსნა კორძალიძემ ჰედიას გადაცემით, მან ძალზე ეფექტური ბურთი გაიტანა მინსკელთა კარში. 78-ე წუთზე შალიმომ გაქვითა გოლი, მაგრამ დარჩენილ მცირე დროში შესანიშნავი თამაშით გამოიჩინა თავი შენგელიამ, რომელმაც პარტნიორებთან კარგი ურთიერთმოქმედების წყალობით ზედიზედ 2 ბურთი გაიტანა სტუმრების კარში.

• • •

XVI ტურის მატჩი ერევანში ადგილობრივ „არარატსა“ და ალმა-ათის „ქაირათს“ შორის დამთავრდა „არარატის“ გამარჯვებით — 3:2.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი — მდგომარეობა 12 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. „სპარტაკი“ (მოსკოვი)	17	9	6	2	28-15	24 (—10)
2. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	16	8	4	4	19-9	20 (—12)
3. „უალგირისი“ (ვილნიუსი)	17	8	4	5	24-18	20 (—14)
4. „ტორპედო“ (მოსკოვი)	17	6	8	3	16-10	20 (—14)
5. „მეტალისტი“ (ხარკოვი)	16	7	4	5	14-13	18 (—14)
6. „შახტიორი“ (დონეცკი)	16	6	6	4	15-14	18 (—14)
7. „არარატი“ (ერევანი)	16	8	1	7	18-22	17 (—15)
8. „დინამო“ (მინსკი)	16	6	5	5	15-12	17 (—15)
9. „დინამო“ (მოსკოვი)	17	5	6	6	12-15	16 (—18)
10. „დინამო“ (კიევი)	13	6	3	4	21-11	15 (—11)
11. „დინამო“ (თბილისი)	17	5	4	8	16-21	14 (—20)
12. ცსკა	17	5	4	8	16-21	14 (—20)
13. „ქაირათი“ (ალმა-ათა)	16	5	3	8	12-18	13 (—19)
14. „ნეფთჩი“ (ბაქო)	17	4	5	8	14-19	13 (—21)
15. „ზენიტი“ (ლენინგრადი)	17	3	6	8	12-24	12 (—22)
16. „გურია“ (ლანჩხუთი)	15	2	5	8	7-17	9 (—21)

ნუ დავკარგავთ ძველ ტრადიციას

მთელი სოხუმი 18 ივლისის მოლოდინშია. ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ სოხუმის დინამოელებს საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალის პირველ მატჩში მინსკის „დინამომ“ უმასპინძლა. მინსკელები აგვბდნენ — 0:1, შემდეგ ანგარიში გაათანაბრეს და მხოლოდ თამაშის ბოლო წამებზე შეძლეს გამარჯვების მაუწყებელი გოლის გატანა. დიდად სასიამოვნოა სოხუმის დინამოელთა შემართება, რაც მათ უმაღლესი ლიგის ძველ ბინადართან, მინსკელ ფეხბურთელთა კოლექტივთან შეხვედრისას გამოავლინეს.

აფხაზეთის პირველი გუნდი მხოლოდ ამ ავტონომიური რესპუბლიკის სპორტსკოლის აღსაზრდელებითაა დაკომპლექტებული. გუნდი საკავშირო ჩემპიონატის მეორე ლიგაში ასპარეზობს და შეუძლია იბრძოლოს ზონაში მაღალი ადგილის დასაკავებლად. გვჯერა, რომ სოხუმელები არც 18 ივლისის განმეორებით მატჩში შეირცხვენენ თავს.

გვინდა მკითხველს თუნდაც ზოგადი წარმოდგენა შევუქმნათ სოხუმის დინამოელთა რეზერვის შესახებ. „სტაჟიან“ გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ აფხაზეთის სკოლის წარმომადგენელთა დიდი დამსახურება, მათი შესანიშნავი თამაში თბილისის „დინამოში“. თბილისის „დინამოს“ კოლექტივს ამ სკოლამ მისცა ტყავის ბურთის ისეთი ოსტატები, როგორებიც იყვნენ ავთანდილ ღოღობერიძე, ვლადიმერ მარღანია, ვალტერ სანაია, ამირან ტყებუჩავა, ნიაზი ძიაპშიპა, იური ვარდიმიადი, იური გრამატიკოპულო, ვლადიმერ ბარქაია, გიორგი სიჭინავა, გოჩა გავაშელი და ბევრი სხვა.

სოხუმის „დინამოს“ ბავშვთა ფეხბურთის დღევანდელი დღე მეტად არასახარბიელოა. აქ 1975 წელს გაიხსნა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა და ამ 12 წლის განმავლობაში სკოლას არა ჰქონია თავისი საფეხბურთო მოედანი, რომელიც ვარჯიშის თუნდაც ელემენტარულ პირობებს დააკმაყოფილებდა. აღარას ვამბობთ თანამედროვე ფეხბურთის დიდ მოთხოვნებზე.

სოხუმში ყოფნისას ვესაუბრეთ სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის დირექტორს ხუტა კიკორიას.

— ლაპარაკი იმაზე, თუ რას ნიშნავს ფეხბურთისთვის სათამაშო მინდორი, ზედმეტად მიმაჩნია, — გვითხრა მან. — რა შედეგები უნდა მოვთხოვოთ 15-16 წლის ბიჭს, რომელიც თვეობით ცენტრალური სტადიონის გვერდით, ასფალტისსაფარიან მოედანზე ვარჯიშობს? სკოლაში რვა კვალიფიციური მწვრთნელი გვყავს. ვარჯიშობს 27 ჯგუფი, სულ 393 ბავშვი. ჩვენი პირველი საზრუნავი ვარჯიშის დაწყების წინ საფეხბურთო მოედნის ძებნაა. თუ რომელიმე ორგანიზაციამ მოედანი დაგვითმო, ასე თუ ისე, ვახერხებთ ვარჯიშის ნორმალურად ჩატარებას. ალბათ დამეთანხმებით, რომ ასეთ პირობებში რეზერვის აღზრდა ყოვლად შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, სკოლა მაინც აძლევს შევსებას სოხუმის დინამოელთა კოლექტივს. სკოლის აღსაზრდელები ირაკლი გელენავა და სერგეი არუთინიანი საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრებში არიან მიწვეული, მაგრამ ეს, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ „წვეთია ზღვაში. სოხუმს, ფეხბურთის ტრადიციებით მდიდარ ქალაქს, მეტი შეუძლია და ამიტომ მეტიც მოეთხოვება.

ანალოგიური სიტუაცია დაგვხვდა სოხუმის „ნორჩ დინამოელში“. არც აქა აქვთ სათამაშო მოედნები, აქაც ინვენტარის ნაკლებობაა და ყოველივე ამის შემდეგ, ალბათ, ძნელია მოვთხოვოთ მწვრთნელებს მნიშვნელოვანი წარმატებები.

გამოსავალს მაინც ვხედავთ: ცენტრალური მოედნის გვერდით არის გამოუყენებელი ადგილი, სადაც შეიძლება ორი საფეხბურთო მინდვრის მოწყობა. აფხაზეთის განათლების სამინისტრომ, რომელსაც ბავშვთა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა ეკუთვნის, ბევრჯერ სთხოვა დახმარება აფხაზეთის სპორტის მესვეურებს. ვფიქრობთ, აფხაზეთის სპორტკომიტეტს და ენთუზიასტ მწვრთნელთა არმიას შესწევთ ორი მოედნის მოწყობის ძალა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში ის ორი საფეხბურთო მინდორი, თუ, რა თქმა უნდა, დროზე გაკეთდა, დიდ დახმარებას გაუწევს აფხაზეთსა და ქართულ ფეხბურთს პერსპექტიულ ჭაბუკთა აღზრდაში.

ზაზა კახაძე,
„ლელოს“ სპეც. კორ.
სოხუმი.

I ლიგა

10 ივლისს შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XXI ტურის შეხვედრები.

კარგად ითამაშეს ბათუმის დინამოელებმა, რომლებმაც რიგაში ფრედ დაამთავრეს მატჩი „დაუგავასთან“—1:1. ქუთაისის „ტორპედომ“ მარცხი განიცადა იაროსლავლში „შინიკთან“ შეხვედრაში — 0:1.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 1:1, „დინამო“ (სტავროპოლი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 2:0, „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 2:0, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:1, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — ასკ (დონის როსტოვი) 1:2, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 3:1, „კუზბასი“ (კემეროვო) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 3:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 2:2.

XXII ტურის მატჩები გაიმართება 18 ივლისს. ქუთაისის ტორპედოელები რიგაში შეხვდებიან „დაუგავას“, ხოლო ბათუმის „დინამო“ იაროსლავლში ითამაშებს „შინიკთან“.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 ივლისისთვის

	თ.	მ	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჩერნომორ.“	19	15	4	0	32-7	34
„დაუგავა“	19	11	5	3	30-14	27
„კოლოსი“	21	11	4	6	30-20	26
„ლოკომოტ.“	18	9	7	2	20-9	25
„როსტსელ.“	20	9	4	7	27-24	22
„დინ.“ სტ.	20	8	6	6	20-22	22
„შინიკი“	20	8	5	7	13-16	21
„კუზბასი“	20	7	6	7	18-12	20
„პამირი“	19	7	5	7	24-21	19
„გეოლოგი“	20	7	5	8	22-21	19
„ფახთაქ.“	20	7	5	8	20-23	19
ასკ „კარპ.“	20	6	7	7	21-22	19
„სპარტაკი“	20	6	7	7	14-16	19
ასკ რ.	20	8	2	10	16-24	18
„მეტალურ.“	20	6	6	8	23-22	18
„ზარია“	19	5	7	7	20-26	17
„როტორი“	20	7	2	11	22-30	16
„დინამო“ ბ.	20	5	6	9	14-20	16
„ტორპ.“ ქ.	20	5	6	9	13-24	16
„ფაკელი“	20	4	7	9	13-20	15
„კოტაიკი“	20	6	2	12	21-30	14
„კრ. სოვეტ.“	19	4	4	11	14-24	12

როცა საფეხბურთო სკოლებში განუკითხაობაა

თითქოს სადავო არ უნდა იყოს: ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში მხოლოდ გამორჩეული, პერსპექტიული ყმაწვილები უნდა გაერთიანდნენ. ამას, ცხადია, დებულებაც მოითხოვს, მაგრამ ეს კანონიერი მოთხოვნა, ბევრ შემთხვევაში, მხოლოდ სურვილად რჩება. ამგვარი დამოკიდებულება, მოგეხსენებათ, საბოლოო ჯამში ვერაფერში ადგება ქართულ სპორტს. ეს ზოგადად, მაგრამ თუ უფრო დავაკონკრეტებთ სათქმელს, თუ ვიტყვით რომ საქმე ფეხბურთს ეხება, შემთხვევითობა (მხედველობაში გვაქვს ზოგიერთი სპორტსკოლა, სადაც ნებისმიერი მსურველებით ავსებენ ჯგუფებს) უნდა გამოირიცხოს. აქ დეფიციტი არ არსებობს — ფეხბურთს საქართველოში ყველა მოზარდი თამაშობს და სპორტული დაოსტატებისკენ მიმავალი გზა მხოლოდ ნიჭიერებისთვის უნდა იყოს ხსნილი. მით უმეტეს, როცა სკოლა სპეციალიზებულია (თანაც ოლიმპიური რეზერვის), ამ შემთხვევაში, საფეხბურთო. განა ვინმეს შეიძლება საწინააღმდეგო მოსაზრება ჰქონდეს, მაგალითად, თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლაში, მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულებს რომ უნდა მივცეთ დაოსტატების საშუალება? რა თქმა უნდა არა.

ჯერ საფეხბურთო სკოლებში ახლახან ჩატარებული სახელმწიფო მიღების სტატისტიკური მონაცემები მოვიშველიოთ. **თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო სკოლაში** სახელმწიფო მიღებაზე გამოცდები უნდა ჩაებარებინა 64 მოსწავლეს, მაგრამ მწვრთნელებმა წარმოადგინეს მხოლოდ 34 აღსაზრდელი, აქედან 30 მეტრზე ბურთით გარბენის ნორმატივი ვერ ჩააბარა შვიდმა, ამავე მანძილზე სპრინტერული გარბენი 21-მა, 12-წუთიანი სირბილი 16-მა. 34 ნორჩი ფეხბურთელიდან ჩასათვლელი ქულები მიიღო მხოლოდ 13-მა, უარყოფითად შეფასდა 21.

თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლა. 214 მოსწავლიდან სახელმწიფო მიღებაზე მწვრთნელებს „დააკლდათ“ 46 ფეხბურთელი. ზემოჩამოთვლილი ნორმატივების ჩაბარებისას შესაბამისად ჩაიჭრა 84, 43, 66 მოზარდი, ბურთის სიშორეზე და სიზუსტეზე დარტყმები ვერ ჩააბარა 67-მა, ძალზე ცუდი მომზადება გამოავლინეს მწვრთნელების ო. ბედოშვილის, ლ. ზაქაიძის, უ. ლეჟავას, რ. სირაძის, ს. შარაშენიძის, ჟ. ბოკუჩავას, ე. ხაჩატურიანის აღსაზრდელებმა.

ქუთაისის საფეხბურთო სკოლაში 16-დან 14 ფეხბურთელი გამოცხადდა გამოცდაზე. ნახევარზე მეტმა ვერც ამ სკოლაში ჩააბარა ნორმატივები.

ვფიქრობთ, კომენტარები საჭირო არ არის. მკითხველს რომ შედეგებზე სრული და ობიექტური წარმოდგენა ჰქონდეს, დავძენთ, რომ ნორმატივები ვინმეს მოგონილი არ არის. ლაპარაკია იმ მოთხოვნებზე, რაც იმავე სკოლების დებულებითაა გათვალისწინებული.

ამ ფაქტებზე ამას წინათ მკაცრად იმსჯელა საქართველოს სპორტსახკომის კოლეგიამ. **„დინამოს“ სპორტული სკოლის მუშაობა ჩაითვალა არასაკმარისად, 35-ე საფეხბურთო სკოლისა— არადამაკმაყოფილებლად.** ცნობად იქნა მიღებული, რომ **35-ე სკოლამ სახელმწიფო მიღების შემდეგ არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის სამსახურიდან დაითხოვა 7 მწვრთნელმასწავლებელი, 24 მუშაკს გამოეცხადა სასტიკი საყვედური და დროებით დატოვეს სამსახურში. ამავე სკოლების დირექტორების, სასწავლო ნაწილის გამგეების და უფროსი მწვრთნელების სამუშაოზე დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი დაისვა შესაბამისი ხელმძღვანელი ორგანიზაციების — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოებისა და სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოების წინაშე.**

დასახულია სხვა კონკრეტული ღონისძიებები ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლებში სასწავლო-სპორტული მუშაობის რადიკალური გარდაქმნისა და გამოვლენილი ხარვეზების დაუყოვნებლივ გამოსწორებლად.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

გათამაშების კალენდარი

მეორე წრე

დაიწყო სსრ კავშირის 1987 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე წრე. 9 და 10 ივლისს გაიმართა XVI ტურის შეხვედრები. გთავაზობთ გათამაშების მეორე წრის კალენდარს.

XVII ტური
13 ივლისი, ორშაბათი
„სპარტაკი“ — „დნეპრი“.

14 ივლისი, სამშაბათი
„დინამო“ კ. — „შახტიორი“, „მეტალისტი“ — „დინამო“ მ., ცსკა — „ტორპედო“, **„გურია“— „დინამო“** მნ., „არარატი“ — „ზენიტი“, „ნეფთჩი“ — „ქაირათი“.

18 ივლისი, შაბათი
1987-88 წლების საკავშირო თასის გათამაშება, მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩები.

XVIII ტური
25 ივლისი, შაბათი
„დნეპრი“ — „მეტალისტი“, „შახტიორი“ — „ტორპედო“, „დინამო“ მ.—„სპარტაკი“, **„ქაირათი“— „გურია“**, „ზენიტი“ — **„დინამო“ თბ.**, „ჟალგირისი“ — „არარატი“, „დინამო“ მნ. — „ნეფთჩი“.

26 ივლისი, კვირა
ცსკა — „დინამო“ კ.

XIX ტური
29 ივლისი, ოთხშაბათი
„დნეპრი“ — „ტორპედო“, „შახტიორი“ — „მეტალისტი“, „დინამო“ მ. — „დინამო“ კ., **„ქაირათი“ — „დინამო“ თბ.**, „ზენიტი“ — **„გურია“**, „ჟალგირისი“— „ნეფთჩი“, „დინამო“ მნ. — „არარატი“.

3 აგვისტო, ორშაბათი
„გურია“ — „დინამო“ კ.

4-5 აგვისტო
სსრ კავშირის თასის მერვედფინალის მატჩები.

XX ტური
11 აგვისტო, სამშაბათი
„სპარტაკი“ — „დინამო“ მნ., „მეტალისტი“ — „ქაირათი“, „არარატი“ — „დნეპრი“, „ნეფთჩი“ — „შახტიორი“.

12 აგვისტო, ოთხშაბათი
სსრ კავშირი (ნაკრები) — „ნორვეგია“ (ნაკრები).
(ოლიმპიური ტურნირის შესარჩევი მატჩი).

13 აგვისტო, ხუთშაბათი
„ჟალგირისი“ — „დინამო“ კ.

15-16 აგვისტო
სსრ კავშირის თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩები.

XXI ტური
20 აგვისტო, ხუთშაბათი
„დნეპრი“ — „გურია“, „შახტიორი“ — „დინამო“ თბ., ცსკა — „არარატი“, „ქაირათი“ — „დინამო“ კ., „ზენიტი“ — „სპარტაკი“, „ჟალგირისი“ — „მეტალისტი“, „დინამო“ მნ. — „ტორპედო“.

XXII ტური
23 აგვისტო, კვირა
ცსკა — „ნეფთჩი“.

24 აგვისტო, ორშაბათი
„დნეპრი“ — „დინამო“ თბ., „შახტიორი“ — „გურია“, „დინამო“ მ. — „არარატი“, „ქაირათი“— „სპარტაკი“, „ზენიტი“ — „დინამო“ კ., „ჟალგირისი“ — „ტორპედო“, „დინამო“ მნ. — „მეტალისტი“.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასი
IV ტური
29 აგვისტო, შაბათი
ცსკა — „დინამო“ მ., **„გურია“ — „დინამო“ თბ.**, „არარატი“ — „ნეფთჩი“, „ქაირათი“ — „ზენიტი“, „დინამო“ მნ. — „ჟალგირისი“, „შახტიორი“ — „დნეპრი“, „დინამო“ კ. — „მეტალისტი“.

30 აგვისტო, კვირა
„სპარტაკი“ — „ტორპედო“.

XXIII ტური
2 სექტემბერი, ოთხშაბათი
„დინამო“ მნ. — „დინამო“ კ., „სპარტაკი“ — „ჟალგირისი“, „მეტალისტი“ — „ზენიტი“, **„გურია“ „დინამო“ მ., „დინამო“ თბ** — ცსკა, „არარატი“ — „შახტიორი“, „ნეფთჩი“ — „დნეპრი“.

3 სექტემბერი, ხუთშაბათი
„ტორპედო“ — „ქაირათი“.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასი
V ტური
6 სექტემბერი, კვირა
„სპარტაკი“ — ცსკა, **„არარატი“ — „გურია“, „ნეფთჩი“ — „დინამო“ თბ.**, „ჟალგირისი“ — „ქაირათი“, „ზენიტი“ — „დინამო“ მნ., „დნეპრი“ — „დინამო“ კ., „მეტალისტი“ — „შახტიორი“.

7 სექტემბერი, ორშაბათი
„დინამო“ მ. — „ტორპედო“.

9 სექტემბერი, ოთხშაბათი
სსრ კავშირი (ნაკრები) — საფრანგეთი (ნაკრები).
(ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი)

XXIV ტური
12 სექტემბერი, შაბათი
„დნეპრი“ — „შახტიორი“, ცსკა — „დინამო“ მ., „ზენიტი“ — „ქაირათი“, „დინამო“ მნ. — „ჟალგირისი“, „დინამო“ კ. — „ტორპედო“, „სპარტაკი“ — „მეტალისტი“, **„არარატი“ — „დინამო“ თბ., „ნეფთჩი“ — „გურია“.**

16 სექტემბერი, ოთხშაბათი
ევროპის საკლუბო თასების გათამაშებათა პირველი ტურის მატჩები.

XXV ტური
20 სექტემბერი კვირა
„დნეპრი“ — „დინამო“ მ., „შახტიორი“ — ცსკა, „ქაირათი“ — „ჟალგირისი“, „ზენიტი“ — „დინამო“ მნ., „დინამო“ კ. — „სპარტაკი“, „ტორპედო“ — „მეტალისტი“, **„გურია“ — „არარატი“, „დინამო“ თბ. — „ნეფთჩი“.**

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასი
VI ტური
25 სექტემბერი, პარასკევი
„დინამო“ მ. — „სპარტაკი“, **„გურია“ — „ნეფთჩი“, „დინამო“ თბ. — „არარატი“**, „ქაირათი“ — „დინამო“ მნ., „ზენიტი“ — „ჟალგირისი“, „დინამო“ კ. — „შახტიორი“, „მეტალისტი“ — „დნეპრი“.

26 სექტემბერი, შაბათი
„ტორპედო“ — ცსკა.

29 სექტემბერი, სამშაბათი
„გურია“ — ცსკა.

30 სექტემბერი, ოთხშაბათი
ევროპის საკლუბო გათამაშებათა პირველი ტურის საპასუხო მატჩები.

XXVI ტური
3 ოქტომბერი, შაბათი
ცსკა — „დნეპრი“.

4 ოქტომბერი, კვირა
„დინამო“ მ. — „შახტიორი“, „ჟალგირისი“ — „ზენიტი“, „დინამო“ მნ. — „ქაირათი“, „მეტალისტი“ — „დინამო“ კ., „ტორპედო“ — „სპარტაკი“, **„დინამო“ თბ — „გურია“**, „ნეფთჩი“ — „არარატი“.

10 ოქტომბერი, შაბათი
გდრ (ნაკრები) — სსრ კავშირი (ნაკრები)
(ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი)

11 ოქტომბერი, კვირა
სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის მეოთხედფინალები.

XXVII ტური
16 ოქტომბერი, პარასკევი
„ზენიტი“ — „შახტიორი“, „დინამო“ მნ. — „დინამო“ მ., **„დინამო“ თბ. — „ტორპედო“**, „არარატი“ — „დინამო“ კ., „ნეფთჩი“ — „სპარტაკი“.

17 ოქტომბერი, შაბათი
„ქაირათი“ — „დნეპრი“, „ჟალგირისი“ — ცსკა, **„გურია“ — „მეტალისტი“.**

21 ოქტომბერი, ოთხშაბათი
ევროპის საკლუბო გათამაშებათა მეორე ტურის პირველი მატჩები.

25 ოქტომბერი, კვირა
სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის ნახევარფინალები.

28 ოქტომბერი, ოთხშაბათი
სსრ კავშირი (ნაკრები) — ისლანდია (ნაკრები)
ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი).
შვეიცარია (ნაკრები) — სსრ კავშირი (ნაკრები).
(ოლიმპიური ტურნირის შესარჩევი მატჩი).

XXVIII ტური
31 ოქტომბერი, შაბათი
„ქაირათი“ — „შახტიორი“, „ზენიტი“ — „დნეპრი“, „ჟალგირისი“ — „დინამო“ მ., „დინამო“ მნ. — ცსკა, **„გურია“ — „ტორპედო“, „დინამო“ თბ. — „მეტალისტი“**, „არარატი“ — „სპარტაკი“, „ნეფთჩი“ — „დინამო“ კ.

4 ნოემბერი, ოთხშაბათი
ევროპის საკლუბო გათამაშებათა მეორე ტურის საპასუხო მატჩები.

XXIX ტური
8 ნოემბერი, კვირა
„დინამო“ კ. — „დინამო“ თბ., „დნეპრი“ — „ჟალგირისი“, „შახტიორი“ — დინამო“ მნ., ცსკა— „ზენიტი“, „მეტალისტი“ — „არარატი“, „ტორპედო“ — „ნეფთჩი“.

9 ნოემბერი, ორშაბათი
„დინამო“ მ. — „ქაირათი“.

10 ნოემბერი, სამშაბათი
„სპარტაკი“ — „გურია“.

12 ნოემბერი, ხუთშაბათი
„დინამო“ თბ. — „დინამო“ კ.

XXX ტური
14 ნოემბერი, შაბათი
„დინამო“ მ. — „ზენიტი“, „ტორპედო“ — „არარატი“.

15 ნოემბერი, კვირა
„დნეპრი“ — „დინამო“ მნ., „შახტიორი“ — „ჟალგირისი“, ცსკა— „ქაირათი“, **„სპარტაკი“ — „დინამო“ თბ.**, „მეტალისტი“ — „ნეფთჩი“.

16 ნოემბერი, ოთხშაბათი
„დინამო“ კ. — „გურია“.

20 ნოემბერი, პარასკევი
„დინამო“ კ. — „დინამო“ მ.

21 ნოემბერი, შაბათი
სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის ფინალური მატჩი.

25 ნოემბერს და 9 დეკემბერს შედგება უეფა-ს ტურნირის მერვედფინალური მატჩები.

საკავშირო ჩემპიონატის პირველ წრეში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, ამის გამო ზოგიერთი გუნდისთვის დარღვეულია ტურების თანმიმდევრობა.

თამაშები ჩატარდება კალენდარში პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე. ცვლილებათა შემთხვევაში თარიღები გამოცხადდება დამატებით.

გაიმართა უმაღლესი ლიგის რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის მე-16 ტურის შეხვედრები: „პრიმორეცი“ (ლენინგრადი) — ასკ (ალმა-ათა) 4:13, სსა (მონინო) — „ელექტრომაში“ (ტირასპოლი) 38:4. „ეტს“ (კრასნოიარსკი) — „შევარდენი“ (თბილისი) 19:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 ივლისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ქ.	
„მშენებელი“	16	11	1	4	39	(—9)
„ავიატორი“	16	10	2	4	38	(—10)
სსა	16	9	4	3	38	(—10)
„ფილი“	16	9	3	4	37	(—11)
ასკ	16	8	4	4	36	(—12)
„სლავა“	15	9	0	6	33	(—12)
„ლოკ.“ (მ.)	16	8	1	7	33	(—15)
„ეტს“	16	8	1	7	33	(—15)
„ლოკ.“ (თბ.)	14	6	1	7	27	(—15)
„ელექტრ.“	16	4	1	11	25	(—23)
„პრიმორ.“	15	2	0	13	19	(—26)
„შევარდ.“	16	1	0	15	18	(—30)

„სპორტპროგნოზი“: 29-ე ტირაჟი (18-21 ივლისი) — **პროგნოზები**

ფეხბურთში სსრ კავშირის 1987-1988 წლების თასის გათამაშების 1/16 ფინალის განმეორებითი მატჩები:

1. „დაუგავა“ (რიგა) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)	18.VII	20	30	50
2. „ატლანტასი“ (კლაიპედა) — „ტორპედო“ (მოსკოვი)	18.VII	30	40	30
3. „შინიკი“ (იაროსლავლი) — „დინამო“ (თბილისი)	18.VII	40	20	40
4. „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „გურია“ (ლანჩხუთი)	18.VII	60	20	20
5. „კრასნაია პრესნია“ (მოსკოვი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი)	18.VII	30	30	40
6. „კუზბასი“ (კემეროვო) — „დინამო“ (მოსკოვი)	18.VII	30	10	60
7. „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „ქაირათი“ (ალმა-ათა)	18.VII	40	50	10
სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში (უმაღლესი ლიგა)				
8. „პრიმორეცი“ (ლენინგრადი) — ვვა (მოსკოვის ოლქი)	18.VII	40	20	40
9. „შევარდენი“ (თბილისი) — „ავიატორი“ (კიევი)	19.VII	50	20	30
10. „ელექტრომაში“ (ტირასპოლი) — „მშენებელი“ (ქუთაისი)	19.VII	20	20	60
სსრ კავშირის ჩემპიონატი ბალახის ჰოკეიში (ქალები)				
11. „სვიაზისტი“ (ბაქო) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)	20.VII	40	20	40
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (I ლიგა)				
12. „მეტალისტი“ (ზაპოროჟიე) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი)	21.VII	80	10	10
13. „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	21.VII	10	30	60

შენიშვნა. თასის მატჩებში მხედველობაში მიიღება მხოლოდ ძირითად დრო ში ნაჩვენები შედეგი.

კალეიდოსკოპი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონივრული გადაწყვეტილებისაკენ მოუწოდებენ

ჩეხოსლოვაკიის სააგენტო ჩტკ იუწყება, რომ ამ ქვეყნის ოლიმპიურმა კომიტეტმა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ლოზანაში, სამხრეთ კორეის და კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ოლიმპიურ კომიტეტებს ასეთი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა:

„ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები ინტენსიურად ემზადებიან მომავალი სეზონის უმნიშვნელოვანესი სტარტებისათვის — ოლიმპიური თამაშებისათვის. მრავალი წელია ოლიმპიური მოძრაობის აქტიური წევრები ვართ და დიდ ინტერესს ვიჩენთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, სამხრეთ კორეის და კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მომავალი შეხვედრისადმი, რომელიც ლოზანაში უნდა შედგეს. ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტი, სპორტსმენები, მთელი საზოგადოებრიობა დარწმუნებულია, რომ ლოზანაში გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებთ, ისეთს, რომელიც დღევანდელ მდგომარეობას შეესატყვისება. ჩეხოსლოვაკია მხარს უჭერს კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის წინადადებას 1988 წლის ოლიმპიური თამაშების ნაწილი მის ტერიტორიაზე ფხენიანში ჩატარდეს. ასეთი გადაწყვეტილება ერთი-ორად განამტკიცებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ავტორიტეტს და ხელს შეუწყობს მშვიდობის საქმეს მთელ მსოფლიოში“.

მხოლოდ ნოკაუტით

ვენესუელის ქალაქ პუერტო-კაბალიოში ჩატარდა მოკრივეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ადგილობრივი სპორტსმენების გარდა საბჭოთა კავშირის, კუბის, პუერტო-რიკოს, მექსიკის და დომინიკანთა რესპუბლიკის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

თავისთავად ეს შეჯიბრება არაფრით იქნებოდა გამორჩეული, მსაჯობა მეტად სკანდალური რომ არ ყოფილიყო. მონაწილეთა, და ასე გასინჯეთ, მაყურებლების უკმაყოფილების მიზეზი მიკერძოებული და უაღრესად არაობიექტური მსაჯობა გახდა. ადგილობრივი არბიტრები უცხოელ მოკრივეებს ძალით ართმევდნენ გამარჯვებას, ყველა საშუალებას ხმარობდნენ, რომ შეჯიბრებიდან მოეხსნათ ისინი.

ასეთ პირობებში კუბის მოკრივეთა მიერ მოპოვებული ოთხი უმაღლესი ჯილდო ნამდვილი გმირობა იყო. სხვათა შორის, შეჯიბრების დამთავრების შემდეგ კუბის დელეგაციის ხელმძღვანელმა კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა: „ჩვენ ამგვარ შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარს არც შემდგომში ვიტყვით. მაგრამ ჩამოვიყვანთ მხოლოდ ისეთ მოკრივეებს, რომლებიც თავიანთ შეხვედრებს ნოკაუტით მოიგებენ. საინტერესოა მაშინ რა საშუალებას მონახავენ ადგილობრივი მსაჯები?“.

ცისფერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 12 ივლისი. დილის დაჭურვა — **8.00 (1);** რიტმული ტანვარჯიში — **9.30 (1);** „სპორტლოტოს“ ტირაჟი — **19.15 (1);** სტუდენტთა ზაფხულის მსოფლიო თამაშები (გადაცემა იუგოსლავიიდან) — **17.45 (2);** საფეხბურთო მიმოხილვა — **22.40 (1).**

13 ივლისი. დილის ტანვარჯიში— **9.00 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი მოტობოლში: „მეტალურგი“ (ვიდნოე) — „კოვროვეცი“ (კოვროვი) — **13.40 (2);** სტუდენტთა ზაფხულის მსოფლიო თამაშები (გადაცემა იუგოსლავიიდან) — **15.00 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — **19.30 (2).**

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი
66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07928